**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბაჰლაუნდები

ბაჰლაუნდები, სამცხის წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო VIII–IX სს-ში.

წყაროში იხსენიება ამ გვარის სამი თაობა: იოვანე, მისი ძე ბეშქენი და ბეშქენის ძე მირიანი. მირიან ბაჰლაუნდი დაქორწინდა სამცხის დიდებული აზნაურის გიორგი ჩორჩანელის დაზე ლატავრაზე და გიორგის უშვილოდ გადაგების შემდეგ დაეუფლა მის მამულს – ჩორჩანს. ამიერიდან მირიანის შთამომავლები იწოდებოდნენ ჩორჩანელებად.

არის მოსაზრება, რომ ბ-ის ერთი შტო დამკვიდრდა ქართლში და მათი შთამომავლები არიან თავადი ფალავანდიშვილები.

*ლიტ.:* ვ ა ჩ ნ ა ძ ე ნ., სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.

***ნ. შოშიაშვილი***